ეკონომიკის საფუძვლები

ლექცია 5

მიწოდება და მოთხოვნა: თეორიიდან პრაქტიკისაკენ

განსაზღვრავს თუ არა ფასს ხარჯები?

- ხშირად გავრცელებული მოსაზრებები მცდარია, მაგრამ საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებიან

- მსგავსი მოსაზრებები ეკონომიკურ თეორიაშიც გვხვდება

- ერთ–ერთი ასეთი მოსაზრება გულისხმობს, რომ პროდუქტის/მომსახურების ფასი განისაზღვრება მის საწარმოებლად გაღებული ხარჯებით

- წარმოების ხარჯები არ არის დამოუკიდებელი მიწოდების და მოთხოვნის პროცესებისგან

მაგალითი: რა ღირს მიწა?!

- საგნებს დანახარჯი არ გააჩნიათ. დანახარჯი შეიძლება ახლდეს მხოლოდ ქმედებას

- მიწას დანახარჯი არ გააჩნია, მიწის გამოყენება შეიცავს დანახარჯს მათთვის, ვისაც სურს მისი გამოყენება. რა არის ეს დანახარჯი?

- ეს არის მიწის გამომყენებლის მიერ გაღებული ფასი

- და თუ მიწის გამომყენებელი თავად არის მესაკუთრე?

- ასეთ შემთხვევაში მიწის დანახარჯი არის მისი ნებისმიერი სხვა გზით გამოყენების შემთხვევაში მაქსიმალური შესაძლო ამონაგები (ალტერნატიული დანახარჯი)

მაგალითი: რა ღირს მიწა?!

როდესაც მიწა სხვისი საკუთრებაა და ვინმეს სურს მისი გამოყენება, მან იგი უნდა იყიდოს ან იქირავოს. ფასი ან ქირის განაკვეთი ჩვეულებრივ იმის მაჩვენებელია, რის გადასახდელადაც არიან მზად სხვა მფლობელები ან გამომყენებლები. მოკლედ, მიწაზე მოთხოვნა განსაზღვრავს მისი გამოყენების ხარჯს.

- წარმოიდგინეთ მიწის ორი ნაკვეთი, ერთნაირად ხელსაყრელი ხორბლის მოსაყვანად, მაგრამ ერთი არის სოფლად, მეორე კი – დიდი ქალაქის ცენტრში
- ექნება თუ არა თითქმის იდენტურ მიწის ნაკვეთებს ერთნაირი ფასი?
- ახლა განვიხილოთ ფერმერი, რომელიც ფლობს მიწის ნაკვეთს დიდი ქალაქის მახლობლად. ქალაქის განვითარებასთან ერთად დაფიქრდება თუ არა ფერმერი მიწის გაყიდვაზე?
- მიწის ღირებულების შეფასება დაფუძნებულია “მის საუკეთესო და ყველაზე მომგებიან გამოყენებაზე”

> განსაზღვრება, რომელიც დაფუძნებულია „საუკეთესო და ყველაზე მომგებიან გამოყენებაზე“, ეფუძნება ალტერნატიულ დანახარჯებს

ფერმერები და დიდი ქალაქები

- ვცადოთ, მოთხოვნის და მიწოდების მრუდების გამოყენებით ავხსნათ თუ რა ზეგავლენას ახდენს ფერმერების საქმიანობაზე მიწაზე ადგილობრივი თუ კომერციული მიზნებით მოთხოვნის ზრდა

- სასოფლო–სამეურნეო მიწების ოდენობა შემცირდება. რა მოუვა სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის მიწოდების მრუდს? ფასებს?

- ფასების ზრდა გამოიწვევს თუ არა ფერმერობის ალტერნატიული ღირებულების ზრდას?

- რას მივაქციოთ ყურადღება? “ყველაფერი ან არაფერი” მიდგომა არ არის ეკონომიკური მიდგომა

- ზღვრული დანახარჯები და ზღვრული სარგებელი

მიწოდების რაოდენობა თუ მიწოდება?!

- პრაქტიკაში რა განსაზღვრავს ფასებს?!

- არა საფასო ფაქტორებზე მომხმარებლების რეაგირება ბევრად უფრო მოქნილია ვიდრე მიმწოდებლების რეაგირება.

- მიწოდების პროცესი მოითხოვს გარკვეულ დროს, რამდენიმე თვიდან ერთ წლამდე მაინც

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ფასებს განსაზღვრავს არა იმდენად მოთხოვნა (მრუდი) და მიწოდება (მრუდი), რამდენადაც მოთხოვნის მრუდი და მიწოდების რაოდენობა. მიწოდების რაოდენობა, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია მიწოდების მრუდზე, მაგრამ ცვალებად მსოფლიოში საწარმოო გადაწყვეტილებები დაფუძნებულია მოლოდინებზე, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მცდარია. ფასებს მიწოდების რეალურ რაოდენობასთან ერთად მოთხოვნის მრუდი განსაზღვრავს.

დანახარჯები და გადატვირთულობა

- საგზაო მოძრაობის მაგალითი – კოორდინირების პროცესი
- რატომ არის ხშირად მოძრაობა გადატვირთული?
- არის, მაგალითად, მოსახლეობის ზრდა საგზაო საცობების წარმოქმნის მიზეზი?
- რატომ არ შეუძლია მოსახლეობის ზრდას, მაგალითად, თეატრების გადატვირთვა?

საგზაო საცობები = გზების დეფიციტს. შესაძლოა დეფიციტი შეგვექმნას ნებისმიერ საგან-ზე, თუ მათზე საკმაოდ დაბალ ფასებს დავაწესებთ.

სამედიცინო მომსახურების მზარდი დანახარჯები

- ხშირად ამტკიცებენ, რომ ექიმები დიდ თანხებს იმიტომ იღებენ, რომ აინაზღაურონ სწავლის ხარჯები. სწორია მსგავსი მსჯელობა?
- ასეთი მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ მაგალითად ისინი ვინც სრაფად გაივლიან სწავლების კურს უფრო ნაკლებს უნდა ითხოვდნენ ვიდრე ისინი ვინც შედარებით დიდ დროს ანდომებენ სწავლის პროცესს, ან ისინი ვინც სტიპენდიით სწავლობენ, ნაკლებ ფასებს მოითხოვენ
- სამედიცინო განათლების ხარჯები ზეგავლენას ახდენს ექიმების ანაზღაურებაზე, მაგრამ მხოლოდ ირიბად – იგი გავლენას ახდენს ექიმების მიერ მომსახურების მიწოდებაზე



სამედიცინო მომსახურების ფასი და დაზღვევა

- რა ზეგავლენას ახდენს დაზღვევის სისტემა სამედიცინო მომსახურების ფასზე?



- როდის უფრო ხშირად მიაკითხავთ ექიმს, როცა დაზღვევა გაქვთ თუ როცა ის არ გაქვთ?
- ზრდის თუ არა დაზღვევა ფასებს ყველა ტიპის სამედიცინო მომსახურებაზე?

ელასტიურობა და ფასების ცვლილება

- მოთხოვნის ცვლილება როდის უფრო სწრაფად ცვლის ფასებს?
- პასუხი დამოკიდებულია მიწოდების საფასო ელასტიურობაზე



ვინ იხდის გადასახადებს?

- ხშირად მთავრობა იყენებს გადასახადებს შემოსავლების გაზრდის მიზნით

- განვიხილოთ გადასახადის შემდეგი ტიპი – გადასახადი ერთეულ გაყიდულ პროდუქტზე (მაგალითად, აქციზი)

- გადასახადი შეიძლება შეგროვდეს ორი გზით:
  - გადასახადი ეკისრება გამყიდველს ყოველ გაყიდულ პროდუქტზე
  - გადასახადი ეკისრება მყიდველს ყველელ ნაყიდ საქონელზე

გადასახადი ეკისრება გამყიდველს



გადასახადი გამყიდველზე



არ აქვს მნიშვნელობა ვის ვბეგრავთ!



მოთხოვნა უფრო ელასტიურია ვიდრე მიწოდება



მიწოდება უფრო ელასტიურია ვიდრე მოთხოვნა



გადასახადის წმინდა დანაკარგი



დავალება

თავი 6

ამოცანები: 2; 6; 7; 9; 12; 14; 15; 16

ამოცანებისთვის გამოიყენეთ მეორე ქართული გამოცემა, 2009 წლის გამოშვება